მომხმარებლის სახელმძღვანელო

SUNMI P2 Android

Contents

1.1 ტერმინალის ვიზუალი 3
1.2 კომპლექტაცია 3
1.3 ტერმინალის ჩართვა/გამორთვა 3
1.4 ქაღალდის შეცვლა 4
1.5 მთავარი მენიუ 4
1.6 პარამეტრები 5
1.6 გადახდა 6
1.7 თანხის დაბრუნება (Reversal) 6
1.8 თანხის დაბრუნება (Refund) 7
1.9 ქვითრის ასლის ბეჭდვა 7
2.0 დღის ანგარიში 7
2.1 დღის დახურვა 7
2.2 პრეავტორიზაცია (თანხის დარეზერვება) 8
2.3 პრეავტორიზაციის დადასტურება 8
2.4 პრეავტორიზაციის გაუქმება 9
2.5 თიფი 10

1.1 ტერმინალის ვიზუალი



1.2 კომპლექტაცია

- დამტენი მოწყობილობა
- კვების კაბელი
- აკუმულატორი
- თერმული ქაღალდი

1.3 ტერმინალის ჩართვა/გამორთვა

ტერმინალის ჩასართავად, დააჭირეთ ტერმინალის მარცხენა გვერდით მდებარე ვერცხლისფერ ღილაკს 2-3 წამის განმავლობაში, სანამ არ განათდება ეკრანი.

ტერმინალის გამოსართავად, დააჭირეთ ტერმინალის მარცხენა გვერდით მდებარე ვერცხლისფერ ღილაკს 2-3 წამის განმავლობაში, რის შემდეგაც ეკრანზე გამოტანილ ღილაკს „Power off” -ს ვაწვებით და ვთიშავთ ტერმინალს.

1.4 ქაღალდის შეცვლა

კონტეინერის გასაღებად, ეკრანის ზედა ნაწილთან არსებული საფარი მოქაჩეთ ჯერ თქვენი მიმართულებით, ხოლო შემდეგ აწიეთ ზევით, ჩადეთ ქაღალდის ახალი შეკვრა და დახურეთ საფარი.



1.5 მთავარი მენიუ

ეკრანის განსაბლოკად, შეეხეთ ეკრანს თითით და გაასრიალეთ.

შედით სამუშაო მენიუში გადახდების მისაღებად (ფოტო 1):

ფოტო #1

გამოსახულებები მთავარი მენიუში სამუშაო პროცესებისთვის (ფოტო 2) :

ფოტო #2



1.6 პარამეტრები

ტერმინალზე შესაძლებელია გარკვეული პარამეტრების ცვლილება. მარჯვენა ზედა კუთხეში მდებარე სამი ხაზიდან ჩამოშალეთ მთავარი მენიუ და აირჩიეთ „მოწყობილობის პარამეტრები/Device settings“ (ფოტო 3)

- ✓ „ენა/Language“ - საშუალებით შესაძლებელია შეიცვალოს აპლიკაციის ინტერფეისის ენა;
- ✓ „ღამის რეჟიმის ჩართვა/Enable Dark theme“ - საშუალებით შესაძლებელია შეიცვალოს პროგრამის ინტერფეისის თემა (გადართვა მუქსა და ნათელ რეჟიმს შორის);
- ✓ „მძიმით თანხის შეყვანის ჩართვა“ - საშუალებით შესაძლებელია გადახდის დროს თანხის აკრეფის ვარიანტების არჩევა;
- ✓ „კითხვა ქვითრის ბეჭდვაზე/Customer receipt prompt - საშუალებით შესაძლებელია ინტეფეისზე გამოვიტანოთ კითხვა მეორე ქვითრის ბეჭდვაზე;
- ✓ ქვითრების ბეჭდვის შორის ინტერვალი/ Customer receipt delay - საშუალებით შესაძლებელია დააყენოთ შეყოვნება (1-დან 5 წამამდე) სავაჭრო და მომხმარებელთა ქვითრების ბეჭდვას შორის.

ფოტო #3



1.6 გადახდა

- მთავარ მენიუში დააჭირეთ გამოსახულებას “გადახდა”;
- აკრიფეთ გადასახდელი თანხა ეკრანზე. შეცდომის შემთხვევაში, თანხის დასაკორექტირებლად გამოიყენეთ ყვითელ ღილაკი.
- გაატარეთ ბარათი, ტერმინალის ეკრანზე დადებით, ჩიპურ წამკითხველში ბარათის (ჩიპით წინ) მოთავსებით ან ბარათის მაგნიტური ზოლის წამკითხველ ღარში ჩამოტარებით; (თითოეული ბარათის წამკითხველის ადგილმდებარეობა დაკონკრეტებულია ვიზუალის ფოტოზე)
- პინ-კოდის მოთხოვნის შემთხვევაში კლიენტმა უნდა შეიყვანოს ბარათის პინ კოდი და
- დაადასტუროთ გადახდა მწვანე ღილაკით;
- დაადასტურეთ გადახდა მწვანე ღილაკის მეშვეობით;
- დაელოდეთ ქვითარს.
- წარმატებული ოპერაციის შემდეგ, ჩნდება შეტყობინება “Approved” დაიბეჭდება ქვითრები.
- წარუმატებელი ოპერაციის შემდეგ ჩნდება შეტყობინება „Declined” და იბეჭდება ქვითრები

1.7 თანხის დაბრუნება (Reversal)

- შედით მთავარ მენიუში;
- დააჭირეთ გამოსახულება „გაუქმება/Void” ;
- ტრანზაქციების სიიდან აირჩიეთ და დააჭირეთ საჭირო ტრანზაქციას;

- გადახედეთ ტრანზაქციის დეტალებს და სწორი ტრანზაქციის შემთხვევაში დააჭირეთ „გაუქმებას“, სხვა შემთხვევაში, დააჭირეთ უკან დასაბრუნებელ ღილაკს მოწყობილობაზე.
- პარამეტრებიდან გამომდინარე, შეიძლება მოითხოვოს ბარათის გამოყენება ოპერაციის დასრულების მიზნით;
- წარმატებული ოპერაციის შემდეგ, გამოდის შეტყობინება „ოპერაცია დადასტურებულია” და იბეჭდება ქვითრები. წარუმატებელი ოპერაციის შემდეგ გამოდის შეტყობინება „უარყოფილია“ .

1.8 თანხის დაბრუნება (Refund)

- დააჭირეთ გამოსახულება „თანხის დაბრუნება/Refund” ;
- ციფრებისა და წერტილის ღილაკების გამოყენებით შეიყვანეთ დასაბრუნებელი თანხის რაოდენობა. დაადასტურეთ თანხის დაბრუნება მწვანე გამშვები ნიშნის დაჭერით ;
- საჭიროების შემთხვევაში, შეიყვანეთ RRN და დააჭირეთ გამოსახულებას “Confirm”.
- წარმატებული ოპერაციის შემდეგ, გამოდის შეტყობინება „ოპერაცია დადასტურებულია” და იბეჭდება ქვითრები. წარუმატებელი ოპერაციის შემდეგ გამოდის შეტყობინება „უარყოფილია“ .

1.9 ქვითრის ასლის ბეჭდვა

- შედით მთავარ მენიუში;
- დააჭირეთ გამოსახულება „მიმდინარე დღის მიმოხილვა“-ს;
- ტრანზაქციების სიიდან აირჩიეთ და დააჭირეთ საჭირო ტრანზაქციას;
- გადახედეთ ტრანზაქციის დეტალებს და სწორი ტრანზაქციის შემთხვევაში დააჭირეთ „ბეჭდვა“-ს;
- დაელოდეთ ქვითარს.

2.0 დღის ანგარიში

- შედით მთავარ მენიუში;
- დააჭირეთ გამოსახულებას „მიმდინარე დღის მიმოხილვა“ ;
- ჩამოშლილი ტრანზაქციების ქვევით დააჭირეთ „შეჯამების ბეჭდვა“ (დღის მოკლე ანგარიში) ან „დეტალების ბეჭდვა“ (დღის სრული ანგარიში)-ს;
- დაელოდეთ ქვითარს.

2.1 დღის დახურვა

- შედით მთავარ მენიუში;
- დააჭირეთ გამოსახულებას „დღის დახურვა“ ;

- ჩამოშლილი ტრანზაქციების გვერდზე დააჭირეთ „დღის დახურვა“-ს;
- დაელოდეთ ქვითარს.

წარმატებული დღის დახურვის შემდეგ, გამოდის შეტყობინება “დღე დაიხურა”, იბეჭდება ქვითარი და ტრანზაქციების ველი ცარიელდება
დღის დახურვა ხდება 24 საათის განმავლობაში ერთხელ, წინასწარ დაპროგრამებულ დროს. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ხელითაც, ნებისმიერ დროს.

2.2 პრეავტორიზაცია (თანხის დარეზერვება)

- შედით მთავარ მენიუში;
- დააჭირეთ გამოსახულება „დარეზერვება” (ფოტო 9);
- აკრიფეთ გადასახდელი თანხა ეკრანზე. შეცდომის შემთხვევაში, თანხის დასაკორექტირებლად გამოიყენეთ ყვითელ ღილაკი.
- დააჭირეთ დადასტურების ღილაკს;
- გაატარეთ ბარათი (ფოტო 10) ან ეკრანის მარჯვნიდან მარცხნივ გადაწევით გაქვთ შესაძლებლობა შეიყვანოთ ბარათის მონაცემები (ბარათის ნომერი და ბარათის ვადა) მანუალურად (ფოტო 11).
- დაელოდეთ ქვითარს

ფოტო #9



ფოტო #10



ფოტო #11



2.3 პრეავტორიზაციის დადასტურება

- შედით მთავარ მენიუში;
- დააჭირეთ გამოსახულება „რეზერვაციის დასრულება” (ფოტო 12);

- ტრანზაქციების სიიდან აირჩიეთ და დააჭირეთ საჭირო ტრანზაქციას (ფოტო 13);
- გადახედეთ ტრანზაქციის დეტალებს და სწორი ტრანზაქციის შემთხვევაში დააჭირეთ „დასრულება“-ს (ფოტო 14);
- აკრიფეთ ჩამოსაჭრელი თანხა (ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს პრეავტორიზაციის ტრანზაქციის თანხას);
- დაელოდეთ ქვითარს.

2.4 პრეავტორიზაციის გაუქმება

- შედით მთავარ მენიუში;
- დააჭირეთ გამოსახულება „რეზერვაციის დასრულება” (ფოტო 12);
- ტრანზაქციების სიიდან აირჩიეთ და დააჭირეთ საჭირო ტრანზაქციას;
- გადახედეთ ტრანზაქციის დეტალებს და სწორი ტრანზაქციის შემთხვევაში დააჭირეთ „გაუქმება“-ს (ფოტო 14);
- გამოტანილ კითხვას „დარწმუნებული ხართ, გააუქმოთ წინასწარი ავტორიზაცია?“ - დაეთანხმეთ მწვანე ღილაკზე დაჭერით;
- დაელოდეთ ქვითარს.

ფოტო #12



ფოტო #13



ფოტო #14



2.5 თიფი

- კლავიატურაზე გადასახდელი თანხის აკრეფის და ბარათის მოთავსების შემდეგ ეკრანზე გამოდის შეკითხვა - „გსურთ თიფის დატოვება?“, თიფის თანხის შესაძლო ვარიანტებით (ყიდვის ოპერაციის თანხის პროცენტული მაჩვენებელი შესაბამისი თანხის ოდენობით). მომხმარებელს შეუძლია აირჩიოს სასურველი ვარიანტი ჩამონათვალიდან (ფოტო 15), ასევე შესაძლებელია „სხვა“ ღილაკზე დადგომით განსხვავებული სასურველი ოდენობის თანხის მანუალურად აკრეფა (ფოტო 16);
- დაელოდეთ ქვითარს.

იმ შემთხვევაში, თუ არ სურს მომხმარებელს თიფის დატოვება, შეტყობინება გამოტოვეთ “არა” ღილაკზე დადგომით.

ფოტო #15



ფოტო #16